

სახელი, გვარი, ტელეფონი

სკოლა

ამოცანები, რომლებიც 2 ბალით ფასდება



1) ქვემოთ მოცემული წილადებიდან რომელია არაწესიერი?

1) $\frac{1}{1000}$

2) $\frac{9999}{1000}$

3) $\frac{5}{555}$

4) $\frac{1000000}{9000000}$

2) ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან რომელია ჭეშმარიტი?

1) კუბი სივრცითი ფიგურაა, რომელსაც 8 წვერო, 8 წახნაგი და 12 წიბო აქვს;

2) კუბი სივრცითი ფიგურაა, რომელსაც 6 წვერო, 8 წახნაგი და 12 წიბო აქვს;

3) კუბი სივრცითი ფიგურაა, რომელსაც 12 წახნაგი, 8 წვერო და 6 წიბო აქვს;

4) კუბი სივრცითი ფიგურაა, რომელსაც 6 წახნაგი, 8 წვერო და 12 წიბო აქვს.

3) აახარისხე და პასუხები დაალაგე ზრდადობით: 3^2 , 6^3 , 7^2 , 5^5 , 1^{12} , 2^4 , 15^1 . რომელი იქნება შუაში?

1) 6^3

2) 15^1

3) 7^2

4) 2^4

4) რამდენი ნული იქნება ქვემოთ მოცემული რიცხვის ჩანაწერში, თუ მას ჩავწერთ ციფრებით?

ათი მილიარდ სამას ხუთი მილიონ თვრამეტი ათას რვა

1) ექვსი

2) ხუთი

3) ოთხი

4) სამი

5) ქვემოთ მოცემული რომელი გამოსახულების პასუხია 212 463?

1) $460 \times 513 =$

2) $549 \times 387 =$

3) $762 \times 341 =$

4) $343 \times 683 =$

ამოცანები, რომლებიც 3 ბალით ფასდება



6) თამუნამ ჩაიფიქრა რიცხვი, რომელიც გაამრავლა 4-ზე, მიღებულს მიუმატა 4, მიღებული გაყო 5-ზე და ბოლოს მიუმატა 1. ამის შემდეგ თამუნამ კვლავ თავისი ჩაფიქრებული რიცხვი მიიღო. რა რიცხვი ჩაიფიქრა თამუნამ?

1) 7

2) 8

3) 9

4) 10

7) ინგლისურენოვანი 18 კითხვიდან თორნიკემ სწორად უპასუხა ორს, ხოლო ქართულენოვანი 12 კითხვიდან კი – ოთხს. კითხვების მთელი რაოდენობის რა ნაწილს უპასუხა თორნიკემ სწორად?

1) მესამედს

2) მესუთედს

3) მეექვსედს


4) მეცხრედს

8) ოთხი კვადრატის ერთმანეთზე მიდგმით მიღებული მართკუთხედის სიგრძეა 48 სმ. რისი ტოლი იქნება ამ კვადრატების ერთმანეთზე მიდგმით მიღებული კვადრატის პერიმეტრი?



- 1) 48 სმ 2) 64 სმ 3) 96 სმ 4) 192 სმ

9) მოცემულ ნახაზზე რომელია მეტი და რამდენით, სამკუთხედები, თუ ოთხკუთხედები?



- 1) სამკუთხედი 2-ით 2) სამკუთხედი 3-ით
3) სამკუთხედი 4-ით 4) ოთხკუთხედი 1-ით


10) კატერი ერთ საათში 180 კმ-ს გადის. რამდენ კილომეტრს გაივლის იგი 15 წუთში?

- 1) 40 კმ-ს 2) 45 კმ-ს 3) 60 კმ-ს 4) 90 კმ-ს

ამოცანები, რომლებიც 5 ბალით ფასდება



11) რამდენით მეტი ოთხკუთხედია გამოსახული მოცემულ ნახაზზე, სამკუთხედებთან შედარებით?



- 1) სამით 2) ორით 3) ერთით 4) ტოლია

12) ციფრებით 5; 1; 0 და 2 მაქსიმუმ რამდენი ერთმანეთისგან განსხვავებული სამნიშნა რიცხვის შედგენაა შესაძლებელი (ისე, რომ რიცხვში ციფრები არ გამეორდეს), რომელიც უნაშთოდ იყოფა სამზე და ბოლოვდება ნულით?

- 1) ორი 2) ოთხი 3) ექვსი 4) რვა

13) ეზოში ძროხები და ქათმები დადიან. მათ ყველას ერთად 20 თავი და 56 ფეხი აქვთ. სულ რამდენი ქათამია ეზოში?

- 1) რვა 2) თორმეტი 3) თოთხმეტი 4) ამის გაგება შეუძლებელია

14) ბებია 78 წლისაა, შვილიშვილი კი – 6-ის. რამდენით გაიზრდება ბებიის წლოვანება მაშინ, როდესაც შვილიშვილის წლოვანება გაიზრდება 3-ჯერ?

- 1) 3-ით 2) 12-ით 3) 18-ით 4) 24-ით

15) თხილის ხუთ და მარწყვის სამ ნაყინში იმდენივე გადაიხადეს, რაც თხილის შვიდ და მარწყვის ერთ ნაყინში. რომელი უფრო ძვირია, თხილის ნაყინი, თუ მარწყვის ნაყინი?

- 1) ტოლია 2) შოკოლადის 3) მარწყვის 4) ამის გაგება შეუძლებელია


ამოცანები, რომლებიც 7 ბალით ფასდება



16) ზაფხულის ერთ-ერთი თვის მეორე შაბათი დღე უდიდესი ერთნიშნა რიცხვია. სულ რამდენი შაბათი დღეა აღნიშნულ თვეში?

- 1) სამი 2) ოთხი 3) ხუთი 4) ამის გაგება შეუძლებელია

17) სახლი, მაღაზია და სკოლა ერთ წრფეზეა განლაგებული (იხილეთ ნახაზი). სახლსა და სკოლას შორის მანძილი 270 მეტრია. თომა სახლსა და მაღაზიას შორის შუაში იდგა და სკოლისკენ წავიდა. რამდენი მეტრი ექნება თომას გავლილი მანძილი, როდესაც მაღაზიასა და სკოლას შორის შუაში მივა?



- 1) 135 მეტრი 2) 150 მეტრი 3) 170 მეტრი 4) 270 მეტრი

18) ავტობუსმა 120 კილომეტრი მუდმივი სიჩქარით მოძრაობისას სამ საათში გაიარა. ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელია ჭეშმარიტი?

- 1) თუ ავტობუსი იგივე სიჩქარით იმოძრაებს, მაშინ მომდევნო ორ საათში კიდევ 100 კილომეტრს გაივლის;
- 2) თუ ავტობუსი იგივე სიჩქარით კიდევ 5 საათი იმოძრაებს, მაშინ მოძრაობის დაწყებიდან მას სულ 350 კილომეტრი ექნება გავლილი;
- 3) ავტობუსი უფრო სწრაფად მოძრაობს, ვიდრე 50 კმ/სთ სიჩქარით მოძრაავი მოტოციკლისტი;

4) არც პირველი, არც მეორე და არც მესამე წინადადება არ არის ჭეშმარიტი.

19) გავლებულია a და b წრფეები, რომლებიც O წერტილში იკვეთებიან. ასევე გავლებულია c წრფე, რომელიც a წრფეს გადაკვეთს. ქვემოთ მოცემული რომელი წინადადება შესრულებულია აუცილებლად?

- 1) c წრფე არ გადაკვეთს b წრფეს;
- 2) c წრფე ან გადაკვეთს b წრფეს ან არ გადაკვეთს მას;
- 3) c წრფე გადაკვეთს b წრფეს ორ წერტილში;
- 4) c წრფე გადაკვეთს b წრფეს ერთ წერტილში.

ამოცანები, რომლებიც 8 ბალით ფასდება




20) ერთლარიანების, ორლარიანებისა და ხუთლარიანების გამოყენებით რამდენი განსხვავებული ხერხით შეიძლება 10 ლარის მიღება? (გათვალისწინეთ, რომ 10 ლარის მიღებისას აუცილებლად უნდა გამოიყენოთ სამივე კუბიურა)

- 1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) ოთხი

21) მოცემულია ტოლუჯრებიანი ბადე. რას უდრის K და M წერტილების შემაერთებული ტეხილის სიგრძე, თუ $ABCD$ კვადრატის ფართობია 64 სმ^2 ?

- 1) 64 სმ-ს 2) 32 სმ-ს 3) 16 სმ-ს 4) 4 სმ-ს



22) გამყიდველმა შუადღემდე მაღაზიაში არსებული რვეულების ნახევარი გაყიდა, შუადღის შემდეგ კი – დარჩენილის ნახევარი და კიდევ 17 რვეული. ამის შედეგად მას არც ერთი რვეული აღარ დარჩა. რამდენი რვეული გაუყიდა გამყიდველს შუადღემდე?

- 1) 17 რვეული 2) 34 რვეული 3) 68 რვეული 4) ამის გაგება შეუძლებელია


23) დარბაზში მოსწავლეები სამ-სამად ისე გაყვეს, რომ თითოეულ სამეულში მხოლოდ ერთი გოგონა აღმოჩნდა. რამდენი მოსწავლე იყო დარბაზში, თუ ცნობილია, რომ მათი გაყოფა შესაძლებელი იყო ისეთ ხუთეულებად, რომ 3 ხუთეული მხოლოდ გოგონებისგან იქნებოდა შედგენილი, დანარჩენი ხუთეულები კი – მხოლოდ ბიჭებისგან?

- 1) 15 2) 30 3) 45 4) 60

ამოცანები, რომლებიც 10 ბალით ფასდება



24) A, B, და D წერტილები ერთ წრფეზეა განლაგებული, (იხილეთ ნახაზი). ცნობილია, რომ DB მონაკვეთის სიგრძე 2-ჯერ მეტია, AB მონაკვეთის სიგრძეზე. რას უდრის DB მონაკვეთის სიგრძე, თუ AD მონაკვეთის სიგრძეა 25 სმ და 5 მმ?



- 1) 16 სმ 2) 17 სმ 3) 85 სმ 4) 170 სმ

25) მასწავლებელმა წიგნიდან 13 ამოცანა ამოწერა. მინიმუმ რამდენი ამოცანა უნდა ამოწეროს მასწავლებელმა კიდევ, რათა ხუთ მოსწავლეს ისე გაუნაწილოს, რომ თითოეულს შეხვდეს სხვადასხვა რაოდენობის ამოცანა?

- 1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) ოთხი

26) მიშიკო, მერაბი და გოგი ერთი და იგივე გზაზე უცვლელი სიჩქარით მოძრაობენ. მიშიკო ნახევარი გზის გავლას 2 საათსა და 28 წუთს ანდომებს. მერაბი მთელი გზის და კიდევ ნახევარის გავლას 7 საათს ანდომებს, გოგი კი გზის ორჯერ გავლას 10 საათს ანდომებს. ვინ უფრო სწრაფად მოძრაობს მიშიკო, მერაბი, თუ გოგი?

- 1) მიშიკო 2) მერაბი 3) გოგი 4) ამის გაგება შეუძლებელია

27) საფეხბურთო მატჩზე დასასწრები მხოლოდ ათლარიანი, თხუთმეტლარიანი და ოცლარიანი ბილეთები იყიდებოდა. ცნობილია, რომ 145 ცალი ათლარიანი და 90 ცალი თხუთმეტლარიანი ბილეთი გაიყიდა. რამდენი ცალი ოცლარიანი ბილეთი გაიყიდა, თუ სულ 3000 ლარის ღირებულების ბილეთები გაიყიდა?

- 1) 100 ცალი 2) 200 ცალი 3) 10 ცალი 4) 20 ცალი

28) გაწონასწორებული სასწორის მარცხენა მხარეს ორკილოგრამიანი საწონი და 1 ცალი გოგრა დევს, მარჯვენა მხარეს კი სამკილოგრამიანი საწონი და 2 ერთნაირი მასის ნესვი დევს. თუ შევადარებთ ნახევარი გოგრისა და 1 ცალი ნესვის მასებს მაშინ:

- 1) ნახევარი გოგრა 1 კგ-ით მეტი იქნება ერთ ნესვზე;
- 2) ნახევარი გოგრა ნახევარი კგ-ით მეტი იქნება ერთ ნესვზე;
- 3) ნახევარი გოგრა 1 კგ-ით ნაკლები იქნება ერთ ნესვზე;
- 4) ნახევარი გოგრა ნახევარი კგ-ით ნაკლები იქნება ერთ ნესვზე.

29) გოგონები და ბიჭები სამ გუნდში არიან განაწილებულები (თითოეულ გუნდში არიან ბიჭებიც და არიან გოგონებიც). პირველ გუნდში 17 გოგონაა, მეორეში – 20, ხოლო მესამეში – 11. ცნობილია, რომ თითოეულ გუნდში გოგონები უფრო მეტნი არიან, ვიდრე ბიჭები. რამდენი ბიჭია სამივე გუნდში ერთად, თუ ცნობილია, რომ სამივე გუნდში ბავშვების ერთნაირი რაოდენობაა?

- 1) 12 2) 15 3) 21 4) ამის გაგება შეუძლებელია

30) რამდენი ისეთი ორნიშნა რიცხვი არსებობს, რომელშიც ერთეულების და ათეულების აღმნიშვნელი ციფრების გადანაცვლებით თავდაპირველზე უფრო დიდ რიცხვს მივიღებთ?

1) 90

2) 36

3) 45

4) 99

31) ბექა სახლიდან მეგობართან სამეცადინოდ წავიდა. როდესაც იგი მასთან მივიდა, თერთმეტს აკლდა 10 წუთი. მისვლიდან 2 წუთის შემდეგ ბექამ აღმოაჩინა, რომ რვეული სახლში დარჩა. იგი მაშინვე უკან დაბრუნდა, აიღო რვეული და ისევ მეგობართან წავიდა. როდესაც ბექა მეგობართან მეორედ მივიდა, უკვე თორმეტის ნახევარი გამხდარიყო. რომელ საათზე გავიდა ბექა სახლიდან პირველად? (გაითვალისწინეთ, რომ ბექა სულ ერთი და იმავე გზით და ერთი და იმავე სიჩქარით დადის. ასევე გაითვალისწინეთ, რომ მას რვეულის აღებისას დრო არ დაუხარჯავს)

1) 10 სთ 30 წთ

2) 10 სთ 31 წთ

3) 10 სთ 32 წთ

4) 10 სთ 33 წთ

32) ყვითელი ქუდი იაფია ლურჯ ქუდზე, ლურჯი ქუდი იაფია მწვანე ქუდზე, მწვანე ქუდი კი იაფია წითელ ქუდზე. მარის ახურავს მწვანე ქუდზე ძვირი ქუდი. ნატოს არ ახურავს ლურჯ ქუდზე იაფი ქუდი. სანდროს ახურავს ყველაზე იაფი ქუდი. თორნიკეზე ძვირი ქუდი ახურავს ორ ბავშვს. გაარკვიეთ, ვის რა ფერის ქუდი ახურავს, თუ ცნობილია, რომ თითოეულ ბავშვს ახურავს სხვადასხვა ფერის ქუდი?

1) მარის – მწვანე; ნატოს – წითელი; სანდროს – ყვითელი; თორნიკეს – ლურჯი.

2) მარის – წითელი; ნატო – ლურჯი; სანდროს – ყვითელი; თორნიკეს – მწვანე.

3) მარის – წითელი; ნატოს – მწვანე; სანდროს – ყვითელი; თორნიკეს – ლურჯი.

4) მარის – ყვითელი; ნატოს – ლურჯი; სანდროს – წითელი; თორნიკეს – მწვანე.

მონიშნე შენთვის სასურველი პრიზი!
(შეგიძლია მონიშნო მხოლოდ ერთი პრიზი)

















